საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-26/ნ
2017 წლის 10 მაისი

ქ. თბილისი

„დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებით (სსმ III, 20.02.2009 წ., №20, მუხ.254) დამტკიცებულ „დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-6 მუხლის:

1. **1^4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^5 პუნქტი:**

„1^5. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურისათვის გასაცემი დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს მისი ფულადი სარგოები და დანამატები.“.

2. **მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) ზეგანაკვეთური ანაზღაურება და დანამატები (ამ მუხლის 1^1, 1^3, 1^4 და 1^5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა);“.

3. **8^2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^3 პუნქტი:**

„8^3. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურისათვის დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების საერთო თანხა განისაზღვრება შეჯამებულად საავადმყოფო ფურცელში მითითებულ თვეში (ყოველ თვეზე ცალ-ცალკე) დღიური ფულადი სარგოებისა და დანამატების გამრავლებით მოცემულ თვეში შრომისუუნარობის გამო გაცდენილ კალენდარულ დღეთა რიცხვზე.“.

4. **9^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„9^1. ამ მუხლის 8^1 და 8^3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დღიური ფულადი სარგოების და წელთა ნამსახურობაზე დანამატის გამოთვლა ხდება თვიური შრომის ანაზღაურების (ფულადი სარგოები და წელთა ნამსახურობაზე დანამატი) გაყოფით შრომისუუნარობის თვის (ყოველ თვეზე ცალ-ცალკე) კალენდარულ დღეთა რიცხვზე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი — **დავით სერგეენკო**